PDF Eraser Free

სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დიანა გახარია

წევრი:

ნიკოლოზ კიკნაველიძე

(თბილისი, 2021)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

PDF Eraser Free

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „მოდუსი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ მიერ წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2021 წლის 20 ივნისს გამოცემული №727951 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეის „მოდუსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მეხილეობა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გზით.

ზემოაღნიშნული შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია, შეაჯერა განხილული საკითხები და ასევე შეიმუშავა დისტანციურ რეჟიმში წარმართვისთვის შეხვედრის განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

შეხვედრის განრიგის თანახმად, ექსპერტების ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელებს შორის დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, შედგა 2021 წლის 10 აგვისტოს. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს, მათ შორის დირექტორს დირექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, ადამიანური რესურსების მართვაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, მარნეულის სასწავლო კორპუსის კოორდინატორს, იურისტს, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს. ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ ზოგიერთ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს მარნეულის კორპუსის შენობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ფართის ჩვენება და ბიბლიოთეკის დათვალიერება. გასაუბრებაზე მონაწილეობდა ასევე პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელი.

<u>ექსპერტების მიერ მომზადებული დასკვნის პროექტი წარდგენილი იქნა ცენტრში 2021 წლის 13 აგვისტოს, ხოლო მისი კორექტირებული ვერსია 2021 წლის 26 აგვისტოს. დაწესებულების 2021 წლის 6 სექტემბრის არგუმენტირებული პოზიციის გამომხატველ წერილში ხაზი გაესვა დასკვნის პროექტში მოყვანილ შესაბამისობის რეკომენდაციებს, რომელთა ნაწილს არ დაეთანხმა კოლეჯი.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ჩარიცხვის წესთან დაკავშირებით დაწესებულების პოზიცია არ იქნა გაზიარებული ექსპერტების მიერ, შემდეგი გარემოების გამო: საკითხის ირგვლივ დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვის ან/და მისი ვებ გვერდზე მოძიების საჭიროება არ დამდგარა, რადგან წარმოდგენილი განაცხადი მოიცავდა შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტს და არ მოიცავდა მინიშნებას სხვა წესის არსებობის ან/და წესის ცვლილების პროცესში არსებობის თაობაზე, ხოლო გასაუბრებაზე დაწესებულების წარმომადგენლების მიერ არ გაჟღერებულა ინფორმაცია მარეგულირებელი წესის განახლებული ვერსიის შესახებ.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, წერილში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები ნაწილობრივ იქნა გაზიარებული მხოლოდ თ.ა. -თან მიმართებაში. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია თ. ა-ს მიერ განხორციელდეს მეხილეობის პროგრამის მხოლოდ თეორიული ნაწილი, ვინაიდან აღნიშნული მიმართულებით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო კომპეტენცია წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით არ დასტურდება.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულებაში 2019 წელიდან დაარსებულია და ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტური კავშირი, რომლის დებულება განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. კავშირის წარმომადგენლი შედის კოლეჯის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში.

პროფესიული სტუდენტური კავშირის მისიაა, ხელი შეუწყოს კოლეჯის მდგრად განვითარებას, კოლეჯში ხარისხიან და სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. კომპეტენციის ფარგლებში წარმართოს საქმიანობა სტუდენტების ინიციატივებისა და ინტერესების გამოვლენის, მათი უფლებების დაცვის, ინფორმაციის გავრცელების და პროფესიული ცოდნის გაღრმავების მიმართულებით. შემოქმედებითი, სამოქალაქო აქტივობის, კულტურული და სპორტული ღონისძიებების განხორციელების გზით შეძლოს, როგორც ადგილობრივ, ასევე ქვეყნის დონეზე ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მიმზიდველობის გაზრდას.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სსიპ კოლეჯში „მოდესი“ განხორციელებული წინა წარმოების ფარგლებში („პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებოსტნეობა“ დამატების შესახებ) ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციების შესრულების მიზნებისთვის კოლეჯს შემუშავებული აქვს გაუმჯობესების გეგმა *(სახელწოდებით „მარნეულის სასწავლო კორპუსში პროგრამების დამატების მიზნით“),* რომელის შესრულება დაგეგმილია 2021 წლის 30 ნოემბრისთვის და ითვალისწინებს იდენტიფიცირებულ პრობლემებს, განსახორციელებელ აქტივობებს, შესრულების მტკიცებულებების ჩამონათვალს, როგორც პასუხისმგებელ და შემსრულებელ პირებს, ასევე სხვა ჩართულ მხარეებს; გეგმა მოიცავს რესურსების ნაწილს, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს.

შესაბამისობის რეკომენდაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ინდიკატორი 2.2.1. (1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო სანარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

- *სწავლის დაწყებამდე დაწესებულებამ უზრუნველყოს „მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის მობილიზება.*

განვითარების რეკომენდაცია

2.2.1(3) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

- *<u>რეკომენდებულია ახლად აყვანილი ახალგაზრდა კადრებს ჩაუტარდეთ ტრენინგები პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამის სწავლის შედეგების გამომუშავების, შეფასების და მტკიცებულებების შეგროვების კომპეტენციის გამომუშავების მიმართულებით.</u>*

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

<u>2.1.1 -2</u>

<u>კოლეჯის მოქმედი დამტკიცებული რეგულაცია ჩარიცხვის პირობებთან დაკავშირებით არ ითვალისწინებს მიმდინარე კანონმდებლობის მოთხოვნას.</u>

<u>2.2.1 – 3</u>

<u>ექსპერტების შეფასებით, პროგრამის მეხილეობის მიმართულების პროფესიული მოდულების განმხორციელებელ პირებს, წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და გასაუბრებაზე დაყრდნობით, არ უდასტურდებათ დარგობრივი კომპეტენცია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

VII. რეკომენდაციების შეჯამება

PDF Eraser Free

შესაბამისობის რეკომენდაცია:

2.1.1 -2

ვინაიდან კოლეჯის მოქმედი დამტკიცებული რეგულაცია ჩარიცხვის პირობებთან დაკავშირებით, არ ითვალისწინებს მიმდინარე კანონმდებლობის მოთხოვნას, და რადგან აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ექსპერტები არ ეთანხმებიან დაწესებულების მიერ განაცხადით დაფიქსირებულ პოზიციას - „შეესაბამება“ და სტანდარტის მოთხოვნასთან მიმართებაში აფასებენ როგორც „არ შეესაბამება“, რასთან დაკავშირებითაც გაიცა რეკომენდაცია ჩარიცხვის მექანიზმი დამტკიცდეს ზემოაღნიშნულ მინისტრის ბრძანებასთან შესაბამისობაში და მოიცავდეს სამართლიანი და გამჭვირვალე პირობებს, იმგვარი დაშვების წინაპირობებს, რომელიც არ იქნება საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულზე ნაკლები და უზრუნველყოფს შერჩევის გონივრული ინსტრუმენტების გამოყენებას.

2.2.1-1

აღჭურვილობასთან დაკავშირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოდგენილი (დამტკიცებული გაუმჯობესების გეგმის სახელწოდებით) გეგმის გათვალისწინებით, ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების მიერ განაცხადით დაფიქსირებულ პოზიციას და სტანდარტის მოთხოვნასთან მიმართებაში, აფასებენ როგორც „მეტწილად შეესაბამება“. მითითებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროგრამის დამატების მიზნით, უზრუნველყოს განხორციელებისთვის საჭირო რესურსის მობილიზება განსაზღვრულ ვადაში.

2.2.1 – 3

ახლადშემოსული კადრების განმახორციელებლებად მომზადების საჭიროებიდან გამომდინარე, ექპერტები არ ეთანხმებიან სტანდარტთან მიმართებაში დაწესებულების მიერ განაცხადში დაფიქსირებულ პოზიციას - „შესაბამება“ და წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამუშაო გეგმის გათვალისწინებით, აფასებენ როგორც „მეტწილად შეესაბამება“ და გასცემენ შემდეგ რეკომენდაციას: განხორციელდეს პროფესიული განათლების მასწავლებლების სანათადო ტრენინგები, სწავლება და შეფასების საკითხებში, დადგენილ ვადებში.

აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში გამოვლენილი შეუსაბამობის გათვალისწინებით, ექპერტების რეკომენდაციაა გადაიხედოს განმახორციელებლების შერჩევის მექანიზმი, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იქნას არა ფართო სფეროს, არამედ კონკრეტული მიმართულებით შესაბამისი კომპეტენციის მფლობელი პირ/ები/ს შერჩევა და პროფესიული განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილდეს პრაქტიკულ სწავლებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

2.4.2 – 1-2

ექსპერტები არ ეთანხმებიან სტანდარტთან მიმართებაში კოლეჯის „მოდუსი“ მიერ განაცხადში დაფიქსირებულ პოზიციას - „შეესაბამება“ და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის 2021 წლის სამუშაო გეგმასა და გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, აფასებენ როგორც „მეტწილად შეესაბამება“. ამასთან, ხსენებული გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაცია: გადაიხედოს შეფასების სისტემა, ვალიდაცია, ვერიფიკაციის მექანიზმი პროცესების თანმიმდევრობის და ადმინისტრირების საკითხები, მათ შორის ვერიფიკაციის პროცესის წარმართვისათვის შერჩევის/რისკების პრინციპების (რისკების გამოვლენისა და თავიდან აცილების სისტემა) განსაზღვრის მიზნით. საჭიროა ჩანაწერები დაიხვეწოს იმგვარად, რომ რეგულაციაში მკაფიოდ იყოს დეკლარირებული ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობას და ობიექტურობის პრინციპები, შეფასების სისტემის რომელ ნაწილს მიემართება ხსენებული პრინციპები, როგორი არის მათი დაცვის მექანიზმები და პროცედურულად აღიწეროს და დადგინდეს ადმინისტრირების საკითხები; ასევე განისაზღვროს განმეორებითი შეფასების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტისადმი წაყენებული მოთხოვნები.

2.4.2 – 4

კოლეჯის მიერ გეგმიურად გადასახედ დოკუმენტებში დასაკორექტირებელ საკითხებთან დაკავშირებით, ექსპერტები არ ეთანხმებიან სტანდარტთან მიმართებაში დაწესებულების მიერ განაცხადში დაფიქსირებულ პოზიციას - „შესაბამება“ და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის 2021 წლის სამუშაო გეგმისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, აფასებენ როგორც „მეტწილად შეესაბამება“. ამასთან ექსპერტები გასცემენ რეკომენდაციას დადგენილ ვადაში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებებისას დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემდეგი: გაწეროს შეფასების შედეგების სტუდენტებისათვის გაცნობის (ამასთან განისაზღვროს ინფორმირების ვადები და ფორმა, შედეგების წინმსწრებ მოდულებზე შედეგების გასაჩრების შემთხვევებისა და გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადების გათვალისწინებით) და უკუკავშირის მიცემის რეგულაცია, უზრუნველყოს შეფასების შედეგების გაანალიზება პროგრამის ან/და სწავლების/შეფასების პროცესის გაუმჯობესების მიზნებისთვის.

განმავითარებელი რეკომენდაციები:

2.1.1 – 1

ექსპერტების რეკომენდაციაა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტში დატანილი იქნას ინფორმაცია/სტატისტიკური მონაცემები/შედეგები ჩატარებული კვლევების შესახებ (პასუხისმგებელი პირი, განხორციელების ვადები, გამოყენებული ინსტრუმენტი, მონაწილეთა რაოდენობა და კატეგორია ან/და სხვა.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

2.1.1 – 3

კონტიგენტის განმსაზღვრელ მეთოდოლოგიის წარმოდგენილი დოკუმენტი ძირითადად ასახელებს გასათვალისწინებელ კრიტერიუმებს და ხსნის სასწავლო გარემოს ტიპებს, შესაბამისად ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია დოკუმენტი დაიხვეწოს და მოიცავდეს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების დაზუსტებულ საკითხებს.

2.2.1 – 4

ინსტრუმენტის შემუშავებასა და ვერიფიკაციის პროცესში პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობასთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია გაიმიჯნოს აღნიშული პროცესები და გამოირიცხოს მათი ერთი და იგივე პირის მიერ შესრულება.

2.3.1 – 1-2

ექსპერტების შეფასებით, რეგულაციები „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ და „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, თუმცა საჭიროებს მოწესრიგებას სტრუქტურულად და ტექნიკურად, ასევე ზოგიერთი ჩანაწერის შესაბამისობაში მოსაყვანად, შესაბამისად ექპერტების რეკომენდაციაა კოლეჯმა უზრუნველყოს, დადგენილი მოთხოვნების გადახედვა დასამტკიცებლად წარდგენილი პროგრამის დანართების განსაზღვრასთან დაკავშირებით, რათა თავიდან იქნას აცილებული რეგულაციიდან გადაცდომის რისკი (განიხილოს საკოორდინაციო საბჭოსთან პროგრამის დამატების შესახებ შეთანხმების გზები; პროგრამის დამატებაზე/ცვლილების შეტანაზე ინიცირების უფლებამოსილების მქონე პირ/ებ/ის და შემმუშავებელი ჯგუფის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი პირ/ებ/ის მკაფიოდ განსაზღვრა; გამოირიცხოს შეუსაბამო ტერმინების გამოყენება „სავალდებულო მოდული“, „აკრედიტაცია“ და პროგრამის შემუშავების თაობაზე არსებული მუხლები - ინსტრუქციები, გაიწეროს ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების ადაპტირების ფორმით (ცენტრი აძლევს რეკომენდაციას დაწესებულებას, დაწესებულება რეკომენდაციაზე დაყრდნობით შეიმუშავებს მექანიზმებს/ინსტრუქციებს და აქვს მისი დადგენილი მიდგომების აღწერის სახე, მაგ. ფორმულირება: *„კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს პროფესიული სტანდარტის ფარგლებში შეთავაზებული მოდულები და შეარჩიოს ან განავითაროს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ“* - წარმოადგენს ცენტრის რეკომენდაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4.1 – 4

PDF Eraser Free

ექსპერტების რეკომენდაციაა დაწესებულებამ რეგულაციაში გამოკვეთოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე სტუდენტების გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულობის მექანიზმი და უზრუნველყოს შემდგომში მათი კმაყოფილების დადგენა აღნიშნული მომსახურებით.

ექსპერტების რეკომენდაციაა აღნიშნული სერვისით დაინტერესებული პირების მომსახურების მიზნებისთვის კოლეჯი დაეყრდნოს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N459 დადგენილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის „არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ №188/ნ ბრძანებისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 2 ოქტომბრის N915/ი და 2019 წლის 19 სექტემბრის N837/ი ბრძანებებით განსაზღვრული პირობებს, ხოლო 28-ე მუხლი შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებასთან.

2.4.1 – 6

ექსპერტების რეკომენდაციაა კოლეჯმა ჩამოაყალიბოს დაწესებულების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ დასკვნის მომზადების მიდგომა დარგობრივ კონტექსტში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შრომის უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფის - განსაკუთრებული ნორმების არსებობის/არარსებობის თაობაზე.

2.4.2 – 3

ექპერტების რეკომენდაციაა რეგულაციაში აისახოს: ვინ არის მტკიცებულებების მოგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და როგორია მტკიცებულებების მიმართ წაყენებული მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	მეხილეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2021 წლის 31 მაისის ბრძანება N128
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 პროფესიული სტუდენტი (მარნეული)
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში)*.	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

PDF Eraser Free

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☒
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	**არ შეესაბამება**
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	**არ შეესაბამება**
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	**მეტწილი 2**	ნაწილობრივი 1	

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

PDF Eraser Free

1. სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი, რომლის თანახმადაც კოლეჯი „მოდუსი“ პერიოდულად ახდენს ადგილობრივი შრომის ბაზრის გამოკვლევას, ე.წ. ვაკანსიების მონიტორინგის გზით - ადგილობრივ დამსაქმებლებთან მყარდება კომუნიკაცია, მიმდინარე და მომავალში საჭირო ვაკანსიების შესახებ მონაცემების შესწავლის მიზნით. დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტების ფარგლებში, ექსპერტები გაეცნენ ჩატარებული პირველადი კვლევის შევსებულ კითხვარს, დასმულ შეკითხვებზე მონაწილეების მერ გაცემული პასუხებით განსაზღვრულია საქმიანობის სფერო - სოფლის მეურნეობა, დასაქმებულ პირთა დაახლოებითი რაოდენობა, კადრების შევსების საჭიროება.

   დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევის პროცესში გამოვლინდა მარნეულის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მეხილეობის მიმართულებით დაინტერესება ფ/პ ალექსანდრე ვაშაკიძე და შპს „მარნეული აგრო“-ს მიერ, რომლებმაც გამოთქვეს მზაობა „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობასა და კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებით. კოლეჯი ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების საპასუხოდ, მიზნად ისახავს ჩაერთოს რეგიონში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“ განხორციელების გზით.

   ზემოაღნიშნული პროგრამის დამატება შესაბამისობაშია „სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ მისიასთან, ვინაიდან მისიაში დეკლარირებულია მისი მრავალპროფილურობა, ხარისხიანი განათლების მიწოდებისა და მოთხოვნადი, კვალიფიციური კადრების მომზადების ამბიცია.

   სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის მიერ დამტკიცებული და საკოორდინაციო საბჭოსთან შეთანხმებული სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2024 შემუშავებულია 2019 წელს (ბრძანება N97 – 12.04.19), ხოლო ცვლილება 7 წლიან ციკლზე მორგების მიზენით შესულია 2020 წლის 9 ივნისის N62 ბრძანების შესაბამისად. სტრატეგიული მიზანი 2-ის - *„სწავლა/სწავლების პროცესის დაგეგმვა - განხორციელება, ფორმალური განათლების ყველა დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება.“* ამოცანა 2 ითვალისწინებს *„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების შემუშავება/დანერგვა“*-ს, რომლის ფარგლებშიც განსახორციელებელი აქტივობის ველში მითითებულია „პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების დამატება რეგიონში“. აღნიშნული აქტივობის განხორციელების ვადა მოიაზრებს 2021 წელს, ხოლო შესრულების ინდიკატორი დაზუსტებული სახით, ასახელებს მარნეულის რეგიონს.

   <u>ექსპერტების რეკომენდაციაა პროგრამის განხორცილების მიზანშეწონილობის დოკუმენტში დატანილი იქნას ინფორმაცია/სტატისტიკური მონაცემები/შედეგები ჩატარებული კვლევების შესახებ (პასუხისმგებელი პირი, განხორციელების ვადები, გამოყენებული ინსტრუმენტი, მონაწილეთა რაოდენობა და კატეგორია ან/და სხვა.)</u>

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას, გამომდინარეობს სტრატეგიული განვითრების გეგმიდან და ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“ შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე -„სოფლის მეურნეობა“ სარეგისტრაციო ნომერი (09114-პ) და თანხვედრაშია ჩარჩოთი განსაზღვრული საშუალო კვალიფიკაციის მისაღებად დადგენილ წინაპირობებთან - ა) საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად- სრული ზოგადი განათლება; ბ) საბაზო ზოგადი განათლება - საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით.

   სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 09 ოქტომბრის N271 ბრძანებით (ცვლილებები: კოლეჯის დირექტორის 10.06.2020 წლის N64 ბრძანება; 21.10.2020 წლის N156 ბრძანება; (თავი 3, მუხლი 9). მოცემული დოკუმენტის თანახმად, პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას“, რომელიც ძალადაკარგულადაა გამოცხადებული მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N42/ნ ბრძანებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩარიცხვის ახალი წესის პროექტი მომზადებულია დასამტკიცებლად.

   საკითხის ირგვლივ დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვის ან/და მისი ვებ გვერდზე მოძიების საჭიროება არ დამდგარა, რადგან წარმოდგენილი განაცხადი მოიცავდა შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტს და არ მოიცავდა მინიშნებას სხვა წესის არსებობის ან/და წესის ცვლილების პროცესში არსებობის თაობაზე.

   ვინაიდან კოლეჯის მოქმედი დამტკიცებული რეგულაცია არ ითვალისწინებს მიმდინარე კანონმდებლობის მოთხოვნას, ექსპერტების მხრიდან, აღნიშნული გარემოება სტანდარტის მოთხოვნასთან მიმართებაში, ფასდება, როგორც „არ შეესაბამება“, <u>რასთან დაკავშირებითაც გაიცა რეკომენდაცია ჩარიცხვის მექანიზმი დამტკიცდეს ზემოაღნიშნულ მინისტრის ბრძანებასთან შესაბამისობაში და მოიცავდეს სამართლიანი და გამჭვირვალე პირობებს, იმგვარი დაშვების წინაპირობებს, რომელიც არ იქნება საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულზე ნაკლები და უზრუნველყოფს შერჩევის გონივრული ინსტრუმენტების გამოყენებას.</u>

3. სსიპ კოლეჯი „მოდუსი“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 23 მართის N44 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით - „სსიპ პროფესიულ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“.

   მეთოდოლოგიის თანახმად, კონტიგენტს დაწესებულება განსაზღვრავს პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტების და მასწავლებლების რაოდენობის შესაბამისად. კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო სივრცის A, B და C გარემოების არსებობას. <u>აღნიშნული</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

<u>დოკუმენტი ძირითადად ასახელებს გასათვალისწინებელ კრიტერიუმებს და ხსნის სასწავლო გარემოს ტიპებს, შესაბამისად ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია დოკუმენტი დაიხვეწოს და მოიცავდეს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების დაზუსტებულ საკითხებს.</u>

პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობისა და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტის თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეხილეობა“ კოლეჯს სურს 30 პროფესიული სტუდენტის მიღება, ორი ცვლის გათვალისწინებით.

„სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს“ - **სახელწოდებით** წარმოდგენილი დოკუმენტი, ეყრდნობა იმ კრიტერიუმებს, რომელიც შეტანილია „პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესში“. **შესაბამისად, დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს მის მიერ შესაბამისი მიზნებისთვის შემუშავებულ მეთოდოლოგიით.**

4. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალის დანართი, ხოლო სასწავლო რესურსი მითითებულია მოდულებში.

   პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მეხილეობა“ გათვალიწინებული მატერიალური და სასწავლო რესურსი თანხვედრაშია ჩარჩო დოკუმენტით რეკომენდებულ ჩამონათვალთან. შესაბამისად, **ექსპერტების შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო „მეხილეობა“ განსაზღვრული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

   „სოფლის მეურნეობის“ საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული პირობის თანხმად, დაწესებულებას დამატებითი 15 კრედიტის ასათვისებლად შერჩეული აქვს ჩარჩოთი შემოთავაზებული „მებოსტნეობის“ კონცენტრაციის მოდულები.

6. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 31 მაისის N128 ბრძანებით.

   პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ (დამტკიცებული დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 09 ოქტომბრის N 271 ბრძანებით, ცვლილებები: კოლეჯის დირექტორის 10.07.2020 წლის N 64 ბრძანება; 21.10.2020 წლის N156 ბრძანება; (თავი 2, მუხლი 2, 2.4 ქვეპუნქტი)).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ.

PDF Eraser Free

7. **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „მეხილეობა“ ასრულებს იდენტიფიკატორის ფუნქციას - იძლევა სწორ მიმართულებას პროგრამით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, არ არის ბუნდოვანი და შეესაბამება პროგრამის შინაარსს.**

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“ შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე -„სოფლის მეურნეობა“ სარეგისტრაციო ნომერი (09114-3) და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 31 მაისის N128 ბრძანებით. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანების მოთხოვნებს.

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 05 აპრილის N82 ბრძანებით (ცვლილებები: კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 09 ოქტომბრის N 271 ბრძანება; 10.07.2020 წლის N 64 ბრძანება; 21.10.2020 წლის N156 ბრძანება; (თავი 2, მუხლი 2)). დოკუმენტის თანახმად, დაწესებულების პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის მენეჯერის მიერ კერძო სექტორთან მუდმივი თანამშრომლობისა და განხორციელებული მოკვლევის საფუძველზე მზადდება ინიციატივა კოლეჯში ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განხორციელების თაობაზე. განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების ნუსხა თანხმდება კოლეჯში მოქმედ საკოორდინაციო საბჭოსთან და განიხილება კოლეჯის დირექტორის მიერ. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი, რომლის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე იწყებს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას და/ან ახორციელებს არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებას. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

   დაწესებულების მიერ მოწოდებული 2020 წლის 24 ივნისის N152 ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს, სასწავლო პროცესის მენეჯერის ხელმძღვანელობით (აღნიშნული განპირობებულია დირექტორის შესაბამისი მოადგილის პოზიციის ვაკანტური ადგილით) დავალებული აქვს სხვა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დასამტკიცებლად მომზადება. ამგვარად, კოლეჯის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი, დაწესებულებაში დადგენილი წესის მიხედვით, „მეხილეობის“ პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით წარმართული პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. <u>შესაბამისად, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია გადაიხედოს პროგრამის დამატებასთან დაკავშირებული პროცესების ადმინისტრირების საკითხი, იმგვარად რომ უზრუნველყოფილი იყოს განსხვავებული მიდგომების შემუშავება/შემუშავებული მიდგომების დაცვა.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „მეხილეობა“ განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები სწავლის შედეგები, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, კრედიტებს და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ჩანაწერები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თაობაზე და პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

პროგრამას თან ერთვის ზოგადი ინტეგრირებული და პროფესიული მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების დაცვითა და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის მითითებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 90 კრედიტია, სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობაა 1,5 წელი. პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 120 კრედიტს. ინტეგრირებული წესით განხორცილებისთვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 148 კრედიტს და სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობაა 3 წელი, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის კი მოცულობა განსაზღვრულია 178 კრედიტით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ მისია;
2. სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ განვითარების სტრატეგიული გეგმა (2019-2025);
3. „სსიპ პროფესიულ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
4. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისა და პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის დოკუმენტი;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მეხილეობა“;
6. „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“;
7. დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შეფასება:

☐ შეესაბამება

PDF Eraser Free

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ კოლეჯს „მოდუსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული A და B გარემო და C (A გარემოს სივრცეში) გარემოს მოსაწყობად საჭირო ფართი; 15 პროფესიულ სტუდენტზე განკუთვნილი შესაბამისი ინვენტარი. აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი ინვენტარისა და აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ამგვარად, დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს

1 A/C გარემო - I სართული, N109 აუდიტორია;

1 B გარემო - II სართული, N201 აუდიტორია;

1 ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულისთვის - II სართული, N204 აუდიტორია.

რაც შეეხება C გარემოს მოსაწყობად საჭირო მატერიალური რესურსს, კოლეჯს შემუშავებული აქვს შესაბამისობის გეგმა *(სახელწოდებით „მარნეულის სასწავლო კორპუსში პროგრამების დამატების მიზნით“),* რომელის შესრულება დაგეგმილია 2021 წლის 30 ნოემბრისთვის და ითვალისწინებს იდენტიფიცირებულ პრობლემებს, განსახორციელებელ აქტივობებს, შესრულების მტკიცებულებების ჩამონათვალს, როგორც პასუხისმგებელ და შემსრულებელ პირებს, ასევე სხვა ჩართულ მხარეებს; გეგმა მოიცავს რესურსების ნაწილს, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს.

პროგრამით გათვალისწინებული ჩამოთვლილი 9 მოდულის სწავლება დაგეგმილია პარტნიორი კომპანიების ბაზაზე - [redacted] და შპს „მარნეული აგრო“, რომელთა წარმომადგენელი აცხადებს მზაობას პროფესიული სტუდენტების და განმახორციელებლის მიღებასთან და მათთვის ფართობით სარგებლობის უფლების მიცემასთან დაკავშირებით. მემორანდუმის დანართი ითვალისწინებს მატერიალური-რესურსის ჩამონათვალს.

1. გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა;
2. თესლბრუნვა;
3. მცენარის საკვები ელემენტით უზრუნველყოფა,
4. საირიგაციო და სადრენაჟეო სისტემების გამოყენება;
5. მოსავლის აღება-შენახვა;
6. ხეხილის ბაღის გაშენება;
7. ხეხილის სხვლა-ფორმირება;
8. ხეხილის დაცვა;
9. ხეხილოვანი კულტურების ბაღის მოვლა;
10. დახურული გრუნტის მოწყობა;
11. ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება დახურულ გრუნტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

იმის გათვალისწინებით, რომ აღჭურვილობასთან დაკავშირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს არაუმეტეს 6 თვის ვადის განხორციელების შესაბამისობის (დამტკიცებული გაუმჯობესების გეგმის სახელწოდებით) გეგმა, მოცემული გარემოების გათვალისწინებით, ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების მიერ განაცხადით დაფიქსირებულ პოზიციას და სტანდარტის მოთხოვნასთან მიმართებაში, აფასებენ როგორც „მეტწილად შეესაბამება“. მითითებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია პროგრამის დამატების მიზნით, უზრუნველყოს განხორციელებისთვის საჭირო რესურსის მობილიზება განსაზღვრულ ვადაში.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ განხორციელების მიზნით, კოლეჯს, წინარე ხელშეკრულების საფუძველზე, განსაზღვრული ჰყავს 20 პირი, აქედან 7 ზოგადი, 7 ინტეგრირებული და 6 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი.

   წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და ზოგიერთ შემთხვევაში - გარკვეული ადმინისტრაციულ ფუნქციების შესრულებაც, მაგ: პროგრამის ხელმძღვანელობა). აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების გადაწყვეტილებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის საკონტაქტო საათების დატვირთვა <u>ერთი პროგრამის მიზნებისათვის</u> არის სასწავლო გეგმის მიხედვით, 2 ცვლიანი სწავლების პირობებში, კვირაში 30-32 საათი. აღნიშნული საკითხის რეგულირება დაკისრებული აქვს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელსაც შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვების შიდა მოხმარების სპეციალური ფორმა, იყენებს სალექციო განრიგის შედგენისა და განმახორციელებლების რესურსის მდგრადობის კონტროლის მიზნებისთვის. ზემოთხსენებული ჩანაწერის - „ერთი პროგრამის მიზნებისათვის“, შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იგულისხმება ერთდროული დატვირთვა სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, <u>შესაბამისად კორექტირების საჭიროების შესახებ ექპერტებმა გასცეს რეკომენდაცია.</u>

   დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით, მარნეულის სასწავლო კორპუსში პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების მიზნებისთვის, დაგეგმილია ზოგადი მოდულების მასწავლებლებისთვის მოქნილი სასწავლო გრაფიკის შედგენა და ადმინისტრაციული ხელშეწყობა.

   ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მეხილეობა“ განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

3. ექსპერტების მიერ დაწესებულებიდან გამოთხოვილი იქნა სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „მეხილეობა“ განმახორციელებელი პირების დარგობრივი და სწავლება-შეფასების კომპეტენციების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე რამდენიმე მათგან შედგა გასაუბრება. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ ზოგადი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ დარგობრივი კომპეტენცია და ვინაიდან ასწავლიან კოლეჯის ავტორიზებულ პროგრამების შესაბამის მოდულებზე, გააჩნიათ სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია მოდულური პროგრამების ფარგლებში, ხოლო ინტეგრირებულ მოდულებზე შერჩეული განმახორციელებლებისთვის, სისტემაში შემოსვლის მხარდასაჭერად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისობის გეგმა *(სახელწოდებით „გაუმჯობესების გეგმა 2021 მარნეულის სასწავლო კორპუსში პროგრამების დამატების მიზნით“),* რომელის შესრულება დაგეგმილია 2021 წლის 30 ნოემბრისთვის და ითვალისწინებს იდენტიფიცირებულ პრობლემებს, განსახორციელებელ აქტივობებს, შესრულების მტკიცებულებების ჩამონათვალს, როგორც პასუხისმგებელ და შემსრულებელ პირებს, ასევე სხვა ჩართულ მხარეებს; გეგმა მოიცავს რესურსების ნაწილს, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს. აღნიშნული პირების გადამზადების აქტივობა ასევე დაფიქსირებულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის 2021 წლის სამუშაო გეგმაში.

წინამდებარე ინდიკატორის ფარგლებში, სისტემაში ახლადშემოსული კადრების განმახორციელებლებად მომზადების საჭიროებიდან გამომდინარე, ექპერტები არ ეთანხმებიან სტანდარდთან მიმართებაში დაწესებულების მიერ განაცხადში დაფიქსირებულ პოზიციას - „შესაბამება“ და წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამუშაო გეგმის გათვალისწინებით, აფასებენ როგორც „მეტწილად შეესაბამება“ და გასცემენ რეკომენდაციას განხორციელდეს პროფესიული განათლების მასწავლებლების სანათადო ტრენინგები სწავლება და შეფასების საკითხებში დადგენილ ვადებში.

ამასთან პროგრამის მეხილეობის მიმართულების პროფესიულ მოდულებზე შერჩეული პირი მ.ტ., რომელსაც არ უდასტურდება დარგობრივი კომპეტენცია, მოღვაწეობს მომიჯნავე დარგში და მისი სამუშაო ცნობაში აღწერილი გარემოება მოკლებულია მის მიერ „მეხილეობის“ მიმართულებით პრაქტიკული გამოცდილების ფლობას. გასაუბრების შედეგად, დაწესებულებამ, ცენტრის მეშვეობით, დამატებით წარმოადგინა რუსთავის მუნიციპალიტეტის სერვის ცენტრის სანერგე და სათბური მეურნეობის სამსახურის მიერ მ.ტ. სახელზე გაცემული „ცნობა - დახასიათება“ მის მიერ 2018 წლიდან დაკავებული პოზიციისა და ფუნქცია მოვალეობების შესახებ „დეკორატიული და ხეხილოვანი კულტურების სარგავი მასალების წარმოება, დეკორატიული ბაღის და ხეხილის ბაღის გაშენება და მოვლა“.

წარმოდგენილი დოკუმენტი, ცნობა-დახასიათება არის ტექნიკურად გაუმართავი და ვერ იქნება მიჩნეული დამატებით მტკიცებულებად შემდეგი გარემოების გამო: იმ შემთხვევაში როდესაც დოკუმენტი წარმოადგენს ცნობას, აუცილებელია დაბეჭდილი იყოს სატიტულო ფურცელზე ან ორგანიზაციის კანცელარიის მიერ დასმული უნდა იქნეს მასზე სპეციალური შტამპი (შტამპის დასმის შემდგომ კანცელარიის თანამშრომელი ანიჭებს ნუმერაციას და კალმის საშუალებით მინიჭებულ ნომერს წერს შტამპის შიგნით გამოყოფილ სპეციალურ გრაფაში. შტამპის შიგნით ივსება ასევე თარიღის გრაფა. შტამპზე უნდა იყოს ცნობის გამცემი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი). ნ. ძ. მიერ გაცემულ ცნობა-დახასიათებაში ზოგადად არის აღწერილი ქალბატონ მ. ტ-ს ფუნქცია-მოვალეობები. თუ აღნიშნული დოკუმენტი ცნობასთან ერთად წარმოადგენს დახასიათებას, მაშინ ქალბატონ მ. ტ-ს დადებითი მხარეები, საქმისადმი დამოკიდებულება უნდა იყოს წარმოჩინებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

აგრეთვე, მეხილეობის მიმართულების პროფესიული მოდულების განმახორციელებლად შერჩეული მეორე პირის თ.ა. დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მას აქვს აგრონომიული განათლება და სოფლის მეურნეობის სფეროში მუშაობის სამუშაო გამოცდილება. დღეის მდგომარეობით, თ.ა შპს. ჩირინაში იკავებს საკვებწარმოების ლაბორატორიის და მარცვლეულის საშრობი და სასაწყობე მეურნეობის ხელმძღვანელის პოზიციას. კომპანია ფლობს, ვაშლისა და მსხლის ბაღებს და ავითარებს მეხილეობის მიმართულებას, თუმცა თ.ა. ჩართულობა ამ მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არ დგინდება. ამავე დროს 2020 წლიდან ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სწავლობს სადოქტორო პროგრამაზე მეცხოველეობის მიმართულებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექპერტები მიიჩნევენ, რომ **შესაძლებელია თ. ა-ს მიერ განხორციელდეს მეხილეობის პროგრამის მხოლოდ თეორიული ნაწილი, ვინაიდან აღნიშნული მიმართულებით პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო კომპეტენცია წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით არ დასტურდება.**

ექსპერტების შეფასებით, პროგრამის მეხილეობის მიმართულების პროფესიული მოდულების განმხორციელებელ პირებს, წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და გასაუბრებაზე დაყრდნობით, არ უდასტურდებათ დარგობრივი კომპეტენცია, შესაბამისად აღნიშნული გარემოება, სტანდარდთან მიმართებაში ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

<u>აღნიშნულთან დაკავშირებით, ექპერტების რეკომენდაციაა გადაიხედოს განმახორციელებლების შერჩევის მექანიზმი, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იქნას არა ფართო სფეროს, არამედ კონკრეტული მიმართულებით შესაბამისი კომპეტენციის მფლობელი პირ/ები/ს შერჩევა და პროფესიული განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილდეს პრაქტიკული სწავლებაზე.</u>

4. სსიპ კოლეჯს „მოდუსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ ხელმძღვანელად შერჩეული პირის პირადი საქმის შესწავლითა და გასაუბრებით დგინდება, რომ მას აქვს აგრონომის კვალიფიკაცია და აქვს კომპეტენცია შეასრულოს პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობა. აღნიშნულ პირს მონაწილეობა აქვს მიღებული პროგრამის, სასწავლო გეგმის შემუშავებაში და მოდულების ადაპტირებაში, პრაქტიკის ობიექტების შერჩევასა და განმახორციელებლების უმრავლესობის შერჩევაში.

კოლეჯი შემუშავებული რეგულაციის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი განისაზღვრება პროგრამის დამტკიცების აქტით, რომელიც დათარიღებულია 2021 წლის 31 მაისით, ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულ 2021 წლის 16 ივნისი N50 წინასწარ ხელშეკრულებაზე დამატებით გაფორმებულია ამავე თარიღის შეთანხმება N28/1, რომლის საფუძველზეც ევალება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობის ფუნქციის შესრულება და ვალდებულია: იზრუნოს პროგრამის განვითარებაზე, ჩაერთოს პროგრამის შემუშავებაში, სასწავლო გეგმების შედგენაში, განახორციელოს მონიტორინგი პროგრამის მიმდინარეობაზე, ჩაერთოს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და ვერიფიკაციის პროცესში და აქვე განსაზღვრულია უფლებამოსილება პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირების თაობაზე. <u>ინსტრუმენტის შემუშავებასა და ვერიფიკაციის პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია გაიმიჯნოს აღნიშული პროცესები და გამოირიცხოს მათი ერთი და იგივე პირის მიერ შესრულება.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა ექსპერტების მიერ გადამოწმდა დისტანციური ჩართვის რეჟიმში. დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია სსიპ კოლეჯის „მოდესი“ მარნეულის სასწავლო კორპუსის ბიბლიოთეკაში განთავსებული 3 პერსონალურ კომპიუტერში, ასევე იგეგმება სამკითხველო დარბაზში გარკვეული სახელმძღვანელოების მატერიალური სახით განთავსება. ელექტრონული რესურსები ონლაინ სწავლების გათვალისწინებით განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის მათი კოლეჯის ერთიანი საკომუნიკაციო ელექტრონული ფოსტის მომხმარებლის გამოყენებით.

მარნეულის სასწავლო კორპუსში საგანმანათლებლო რესურსის პროფესიულ სტუდენტებისთვის მიწოდებაზე განსაზღვრულია მარნეულის სასწავლო კორპუსის „სასწავლო პროცესის ორგანიზების მენეჯერი“.

გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები ადასტურებენ მასალების ხელმისაწვდომობას. შერჩევითი გზით სახელმძღვანელოების მოძიებისას გამოკვეთა რესურსის ორგანიზების საჭიროება მომხმარებლებისთვის ნავიგაციის გამარტივების მიზნით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ელექტრონული რესურსების გაცნობისა და პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ განხორციელების მიზნებისთვის განკუთვნილი სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

6. დაწესებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ჩარიცხვისა და სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა განსაზღვრულია აქვს „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ (მუხლი 35). აღნიშნული წესის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილია მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს, დაადგინოს სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო, შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა. ზემოაღწერილი პროფესიის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო მასალების ადაპტირება.

<u>ექსპერტების მოსაზრებით, მეტი სიცხადისთვის, სასურველია რეგულაციაში დაზუსტდეს შესაბამისი პუნქტები - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებლის უფლებამოსილებას დაემატოს სასწავლო რესურსების ადაპტირების ნაწილი, გამოჩნდეს ადაპტირებული რესურსების ხელმისაწვდომობის მექანიზმი - დაწესებულებამ მოახდინოს ადაპტირებული მასალების აკუმულირება მათი შემდგომი გამოყენება/განვითარებისთვის; ასევე რეგულაციაში აისახოს გასაუბრებისას გამოკვეთილი ადაპტირებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების საკითხები, რაც რეგულაციის მიხედვით გამორიცხავს კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „მეხილეობა“ დაწესებულებას შედგენილი აქვს საპროგნოზო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 12 პროფესიული სტუდენტი;

PDF Eraser Free

შემოსავლების ნაწილი შედგება ვაუჩერული დაფინანსებისაგან; ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს: შრომის ანაზღაურებას, მასალებისა და ნედლეულის ხარჯს, აღჭურვილობის ამორტიზაციისა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებს.

<u>ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია დაწესებულებამ ბიუჯეტირებისას განიხილოს საჭიროების დადგენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე ტრანსპორტირების ხარჯები.</u>

ექსპერტების შეფასებით, ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ განხორციელების მდგრადობა სახელმწიფო დაფინანსების გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. მემორანდუმი პარტნიორ კომპანიასთან;
3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“;
4. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
5. განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
6. „ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“;
7. ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზის მონაცემები;
8. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
9. დისტანციური ჩართვის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერება;
10. დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

PDF Eraser Free

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1-2. სსიპ კოლეჯში „მოდუსი“ მოქმედი, კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 ივნისის N146 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ და „სწავლების ხარისხის შეფასების წესი და მექანიზმები“ ითვალისწინებს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას – „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. დაწესებულების მიერ შემუშავებული „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ მე–2 მუხლში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის შერჩევისა და განხორციელების პროცედურები.

რეგულაციების „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ მე-2 მუხლის 2.1 პუნქტი და „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ 1.2 პუნქტი მოიაზრებს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის და ხარისხის მართვის მენეჯერის უფლებამოსილებას პროგრამის დამატების ინიცირების შესახებ. ამავდროულად, წესის მე-7 მუხლის 7.2 პუნქტი ასახელებს ზემოთხსენებულ ორივე პოზიციას სხვა პოზიციებთან ერთად: *„პროგრამაში ცვლილების და/ან გაუქმების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ჯგუფის წევრ(ებ)ს.“* შესაბამისად, <u>ექსპერტების რეკომენდაციაა ხსენებული დოკუმენტები მოყვანილი იქნას ერთმანეთთან შესაბამისობაში.</u>

„სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ მე-2 მუხლის 2.2 პუნქტის თანახმად პროგრამის დამატების შესახებ დადებითი გადაწყვეტილება მიიღება მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობის შემთხვევაში, რაც გამორიცხავს მისი მოგვიანებით ეტაპზე სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების შესაბამისად მობილიზების შესაძლებლობას. შესაბამისად, <u>ექსპერტების რეკომენდაციაა ხსენებული ჩანაწერი დაკორექტირდეს იმგვარად, რომ იძლეოდეს გავრცელებული პრაქტიკით, მატერიალური რესურსის მოგვიანებით ეტაპზე მობილიზების შესაძლებლობასაც.</u>

„სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ მე-2 მუხლის 2.5 პუნქტის მიხედვით, სამუშაო ჯგუფის კოორდინაციაზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე, ხოლო მე-3 მუხლის 3.2 პუნქტი პროგრამის შემუშავებაზე კოორდინაცია დაკისრებული აქვს პროგრამის ხელმძღვანელს. შესაბამისად, <u>ექსპერტების რეკომენდაციაა ხსენებული დოკუმენტები მოყვანილი იქნას ერთმანეთთან შესაბამისობაში.</u>

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს ასევე დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. დაწესებულებს შემუშავებული აქვს კითხვარები, რომლის საშუალებითაც ხორციელდება პროფესიული სტუდენტის, პროფესიული განათლების მასწავლებლის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა. აღნიშნული კითხვარების ნაწილი წარმოდგენილი იქნა წარმოების ფარგლებში, ცენტრის მეშვეობით (დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კითხვარები).

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, რომელიც ასევე აწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას. შიდა მონიტორგინის ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად და სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. კოლეჯის წლიური ანგარიშებით ფასდება მიმდინარე წელი და იგეგმება სამომავლო სტრატეგია, რომელსაც გეგმავს ხარისხის მართვის მენეჯერი. განაცხადზე თანდართული დოკუმენტაციას შორის წარმოდგენილია ხარისხის მართვის მენეჯერის 2021 წლის სამუშაო გეგმა.

კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებთან (სასწავლო პროცესის და სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი და პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, იურისტი, ადამიანურ რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი) და პროგრამების ხელმძღვანელებთან/ პროგრამის განმახორციელებლებთან კოორდინირებული თანამშრომლობით.

ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მომზადებული სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების დოკუმენტი - კოლეჯის ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ წარედგინება დირექტორის ხარისხის მართვის მენეჯერის მიმდინარე და წლიური ანგარიშების სახით.

ექსპერტების შეფასებით, რეგულაციები მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, თუმცა <u>საჭიროებს მოწესრიგებას სტრუქტურულად და ტექნიკურად, ასევე ზოგიერთი ჩანაწერის შესაბამისობაში მოსაყვანად, შესაბამისად ექპერტების რეკომენდაციაა კოლეჯმა უზრუნველყოს, დადგენილი მოთხოვნების გადახედვა დასამტკიცებლად წარდგენილი პროგრამის დანართების განსაზღვრასთან დაკავშირებით, რათა თავიდან იქნას აცილებული რეგულაციიდან გადაცდომის რისკი (განიხილოს საკოორდინაციო საბჭოსთან პროგრამის დამატების შესახებ შეთანხმების გზები; პროგრამის დამატებაზე/ცვლილების შეტანაზე ინიცირების უფლებამოსილების მქონე პირ/ებ/ის და შემმუშავებელი ჯგუფის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი პირ/ებ/ის მკაფიოდ განსაზღვრა; გამოირიცხოს შეუსაბამო ტერმინების გამოყენება „სავალდებულო მოდული“, „აკრედიტაცია“ და პროგრამის შემუშავების თაობაზე არსებული მუხლები - ინსტრუქციები, გაიწეროს ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების ადაპტირების ფორმით (ცენტრი აძლევს რეკომენდაციას დაწესებულებას, დაწესებულება რეკომენდაციაზე დაყრდნობით შეიმუშავებს მექანიზმებს/ინსტრუქციებს და აქვს მისი დადგენილი მიდგომების აღწერის სახე, მაგ. ფორმულირება: *„კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს პროფესიული სტანდარტის ფარგლებში შეთავაზებული მოდულები და შეარჩიოს ან განავითაროს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ“* - წარმოადგენს ცენტრის რეკომენდაციას.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
2. სწავლების ხარისხის შეფასების წესი და მექანიზმები“
3. დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ დაგეგმილია პროგრამის სასწავლო გეგმით, რომლის შედგენაზე პასუხისმგებელი პირია სასწავლო პროცესის მენეჯერი. „სასწავლო პროცესის რეგულირების“ წესის 32-2 მუხლი მოიცავს სასწავლო გეგმის თანახმად სალექციო განრიგის შედგენის საკითხებს და გულისხმობს გრაფიკს, სასწავლო დღეებს, დასვენების ხანგრძლივობას, ცვლას, განრიგზე წვდომის უზრუნველყოფას, განრიგში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2. პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, სსიპ კოლეჯში „მოდუსი“ სწავლა მიმდინარეობს ორ ცვლაში. 2019 წლიდან კოლეჯში შექმნილია და მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა კავშირი რომელიც გამოიყენება პროფესიული სტუდენტების საჭიროებების გამოვლენის მიზნებისთვის. კავშირს ჰყავს წარმომადგენელი კოლეჯის საკოორდინაციო საბჭოში. ასევე დაწესებულებაში შემუშავებული და 2020 წლის 21 ოქტომბრის N1545 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესი“, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე, ითვალისწინებს სწავლების სინქრონულ მიდგომას და მოიცავს ადმინისტრირების საკითხებს, პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების უფლება-მოვალეობებს. დაწესებულება გეგმავს ასინქრონული სწავლების დანერგვას და ხსენებული წესის განახლებას.

PDF Eraser Free

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის “მეხილეობა“ შემადგენელი მოდულები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების სარეკომენდაციო მეთოდებს, რომელიც არის თანამედროვე და უზრუნველყოფს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პრაქტიკის ობიექტებთან მჭიდრო თანამშრომლობა ხელს უწყობს დარგში არსებული სიახლეების გაცნობასა და შემდგომში გამოყენებას.

4. „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ (მუხლი 18–35) განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა აღნიშნული წესი. ინსტრუქციის მიხედვით, სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირი და პროფესიული განათლების მასწავლებელი. მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად, საჭიროების დადგენის შემთხვევაში - სასწავლო პროცესის დაწყებიდან 1 თვის ვადაში, სსსმ/შშმ პირთათვის დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას, შესაბამისად აზუსტებს სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ზემოთხსენებული წესის 35-ე მუხლის 35.2 პუნქტის თანახმად, *„საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას“.*

<u>ექსპერტების რეკომენდაციაა დაწესებულებამ რეგულაციაში გამოკვეთოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე სტუდენტების გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულობის მექანიზმი და უზრუნველყოს შემდგომში მათი კმაყოფილების დადგენა აღნიშნული მომსახურებით.</u>

„სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ შემუშავების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის ძალადაკარგულად გამოცხადებული №8/ნ ბრძანება „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“, შესაბამისად ხსენებული წესის 29-ე მუხლი არაფორმალური განათლების აღიარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

შესახებ მოქმედ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაშია. ამგვარად ექსპერტების რეკომენდაციაა აღნიშნული სერვისით დაინტერესებული პირების მომსახურების მიზნებისთვის კოლეჯი დაეყრდნოს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N459 დადგენილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის „არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ №188/ნ ბრძანებისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 2 ოქტომბრის N915/ი და 2019 წლის 19 სექტემბრის N837/ი ბრძანებებით განსაზღვრული პირობებს, ხოლო 28-ე მუხლი შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებასთან.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, სსიპ კოლეჯს „მოდუსი“, ავტორიზაციის დარჩენილი ვადით, გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი [redacted] და შპს „მარნეული აგრო“.

   მემორანდუმის თანახმად, მხარეები თანხმდებიან, რომ მათი თანამშრომლობა აამაღლებს პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციას, უზრუნველყოფს პიროვნული პოტენციალის რეალიზებას, პრაქტიკული კომპონენტის ათვისებასა და პროფესიული უნარ–ჩვევების განვითარებას. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს კონკრეტულად მარნეულის ლოკაციაზე პროფესიული სტუდენტების ინფორმირება/პროფესიული დაოსტატება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტით მხარეები გამოხატავენ მზაობას გააფორმონ დამატებით ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრული იქნება კონკრეტული ღონისძიების განხორციელების მექანიზმები, მხარეთა ფუნქციები და უფლება–მოვალეობები.

   პროფესიული სტუდენტების რაოდენობა არ არის განსაზღვრული მემორანდუმით, აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სწავლის პერიოდში, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების დაწყებამდე გონივრული ვადით ადრე, დაზუსტებული დეტალების თაობაზე ფორმდება ხელშეკრულება, რომლის ნიმუში (ავტორიზებული პროგრამის ფარგლებში არსებული გამოცდილებით) წარედგინა ექსპერტებს და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს როგორიცაა: კოლეჯის უფლება-მოვალეობები - კომპანიის ინფორმირება პრაქტიკის დაწყებამდე 10 დღით ადრე სტუდენტების სიის, დაწყება-დამთავრების თარიღის, ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაციის და შესასრულებელი დავალებების ზოგადი აღწერის მიწოდება; სტუდენტებისთვის უფლება-მოვალეობების გაცნობა, სტუდენტის ადგილზე გამოცხადების მონიტორინგი, საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელის დანიშვნა; პარტნიორის უფლება-მოვალეობები - პრაქტიკის ორგანიზება, პროფესიული სტუდენტების იმგვარ სამუშაოებში მონაწილეობის მიღების არიდება, რომელიც არ არის პროგრამით გათვალისწინებული, პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების წესების და სხვა მოქმედი წესების გაცნობა, ზედამხედველი პირის გამოყოფა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნასა და მონაწილეობას მიიღებს შეფასების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ინტერვიუირებისას ექსპერტები გაესაუბრნენ პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა პროფესიული სტუდენტების მიღების მზაობა, სწავლების პროცესში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის მათ საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო ნაკვეთით და აღჭურვილობით სარგებლობის უფლების მიცემა და ასევე დააფიქსირა მოლოდინი და დაინტერესება შესაბამისი კადრების აღზრდის და კომპანიაში დასაქმების მიმართულებით.

PDF Eraser Free

შესწავლილი მემორანდუმების და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, ექსპერტების შეფასებით, დაწესებულებას მიღწეული აქვს შეთანხმება პარტნიორ კომპანიებთან პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის სწავლების უზრუნველყოფის მიზნებისთვის.

6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა“ თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, პროგრამის განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიკური უსაფრთოხების პირობების შექმნას/დაცვას. <u>ექსპერტების რეკომენდაციაა კოლეჯმა ჩამოაყალიბოს დაწესებულების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ დასკვნის მომზადების მიდგომა დარგობრივ კონტექსტში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შრომის უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფის - განსაკუთრებული ნორმების არსებობის/არარსებობის თაობაზე.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა“;
2. „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“
3. მემორანდუმი პარტნიორ კომპანიასთან;
4. დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1-2 კოლეჯში შემუშავებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს სხვადასხვა ფორმებს. გასაუბრების შედეგად, ცენტრის მეშვეობით, დაწესებულების მიერ, დამატებით წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი შეფასების **ვალიდურობისა,** ასევე **სანდოობისა** და **ობიექტურობის** უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რომელშიც მოცემულია „შეფასების ინსტრუმენტი-დავალების მოკლე აღწერილობა“ და „შეფასების მტკიცებულების ფორმა (ინსტრუქციით)“. აღნიშნულთან უკანასკნელი შედგება ტექნიკური ჩანაწერების ველებისა (პროგრამის, მოდულის დასახელება, სწავლის შედეგი, შეფასების მიმართულება, შეფასების ადგილი და თარიღი, ასევე ინფორმაცია შესაფასებელი და შემფასებელი პირების შესახებ) და ინსტრუქციისგან, სადაც 3 პუნქტად ვხვდებით შეფასების ინსტრუმენტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს:

*„1. შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს **დავალების შინაარსს მტკიცებულების შესაბამისად**“* - ჩანაწერი ბუნდოვანია.

„2. შეფასების ინსტრუმენტში განსაზღვრული უნდა იყოს შეფასების დრო და რა შემთხვევაში მიეცემა პროფესიულ სტუდენტს დადებითი შეფასება“

„3. შეფასების ინსტრუმენტში უნდა იყოს ჩანაწერი განმეორებით გამოცდაზე სტუდენტის უფლების შესახებ“.

„შეფასების ინსტრუმენტი-დავალების მოკლე აღწერილობა“ მოიცავს ფორმას, რომელიც შედგება ზემოთხსენებული ტექნიკური მხარისა და დავალების ველისგან, სადაც შემფასებელი პირისთვის განმარტების სახით მითითებულია *„ჩამოთვალეთ რა **აქტივობა უნდა დაუდასტურდეს** პროფესიულ სტუდენტს“* - ჩანაწერი დასაკორექტირებელია**.** დოკუმენტში „სწავლების ხარისხის შეფასების წესი და მექანიზმები“ დანართად წარმოდგენილია შეფასების ვალიდაციის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ვალიდატორის მიერ შეფასების ინსტრუმენტისადმი სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნის ვალიდურობის შემოწმებას.

„სწავლების ხარისხის შეფასების წესი და მექანიზმების“ დოკუმენტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის ფორმა, რომელიც შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, ამავე დოკუმენტის მე-2 თავი ვერიფიკაციასთან მიმართებაში ამბობს: *„2.7. შეფასების ვერიფიკაციის ფარგლებში ფასდება სტუდენტთა ინდივიდუალური პორტფოლიოები, მიმდინარე და დასრულებული მოდულების სწავლის შედეგების დამადასტურებელი მტკიცებულებები“,* აქვე განმარტებულია, რომ ვერიფიკაციის პროცესს წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. *მოცემული თავის დანარჩენი ნაწილი* მოიაზრებს შიდა მონიტორგინის ჯგუფის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

საკითხებს. ამავე დოკუმენტის მე-3 თავის წავლების ხარისხით კმაყოფილების შეფასების შესახებ განმარტავს: *„3.2 შეფასების ვერიფიკაციის დასკვნების შესაბამისად გაიცემა რეკომენდაციები შეფასების პროცესის დახვეწასთან დაკავშირებით და იგეგმება შემდგომი აქტივობები ხარისხის მართვის მეხეჯრის მიერ, კერძოდ, ტრენინგები, ტრენინგები, პრეზენტაციები, საინფორმაციო შეხვედრები ფოკუს - ჯგუფებთან და საჭიროების შემთხვევაში პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები“.*

„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ადგენს რომ *„შეიძლება იყოს შესაბამისი ცოდნა-უნარების მქონე სხვა პროფესიული მასწავლებელი (ადგილობრივი ან მოწვეული), რომელიც რეკომენდაციებს ასახავს კოლეჯში შემუშავებულ შეფასების ვალიდაციის ფორმაში“.*

შეფასების **გამჭვირვალობისა** და **სამართლიანობის** უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, კოლეჯში ხორციელდება შიდა მონიტორინგი, თუმცა წარმოდგენილი ფორმა „საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი“ გულისხმობს სალექციო პროცესზე დაკვირვებას და საჭიროებს ადაპტირებას შეფასების პროცესზე დაკვირვების და შეფასების სიტემის ზემოთმითითებული კრიტერიუმების შემოწმების მიზნებისთვის.

აღსანიშნავია, რომ 2021-2020 წლის ხარისხის გეგმაში მოაზრებულია პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცედურების ეფექტურობის გაზრდა, შეფასების ვალიდურობის მექანიზმების გაუმჯობესება და ვერიფიკაციის პროცესის დანერგვა.

<u>ექსპერტების შეფასებით, გადასახედია შეფასების სისტემა, ვალიდაცია, ვერიფიკაციის მექანიზმი პროცესების თანმიმდევრობის და ადმინისტრირების საკითხების, მათ შორის ვერიფიკაციის პროცესის წარმართვისათვის შერჩევის/რისკების პრინციპების (რისკების გამოვლენისა და თავიდან აცილების სისტემა) განსაზღვრის მიზნით. საჭიროა ჩანაწერები დაიხვეწოს იმგვარად, რომ რეგულაციაში მკაფიოდ იყოს დეკლარირებული ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობას და ობიექტურობის პრინციპები, შეფასების სისტემის რომელ ნაწილს მიემართება ხსენებული პრინციპები, როგორი არის მათი დაცვის მექანიზმები და პროცედურულად აღიწეროს და დადგინდეს ადმინისტრირების საკითხები; ასევე განისაზღვროს განმეორებითი შეფასების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტისადმი წაყენებული მოთხოვნები. ამასთან აუცილებელია შესაბამისი მიდგომების გათვალისწინებით, გამოიკვეთოს ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში შეფასებასთან დაკავშირებული განსხვავებული წესები და პირობები.</u>

3. სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მე-4 მუხლის 4.10 პუნქტით განსაზღვრულია მოპოვებული მტკიცებულებების დაარქივება ხდება მტკიცებულების მოპოვებიდან (შეფასების განხორციელებიდან) 3 წლის ვადით, თუმცა ჩანაწერი ტექნიკურად გასამართია: *„მოპოვების მიდგომები - ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. <u>თუ მტკიცებულების შეგროვების შეთავაზებულ მიდგომებს კოლეჯი არ ეთანხმება,</u> შესაძლებელია მისი შეცვლა, მტკიცებულებების დაარქივება ხდება მტკიცებულების მოპოვებიდან (შეფასების განხორციელებიდან) 3 წლის ვადით“.*
   ამავე წესის 34-ე მუხლის 34.4 პუნქტის მიხედვით: *„შეფასების მტკიცებულებების შენახვა/აღრიცხვა ხდება ელექტონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-Flow) საშუალებით, სადაც აღირიცხება მონაცემები თითოეული ჯგუფის თითოეული პროფესიული სტუდენტის მოსწრების შესახებ“.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ექსპერტების რეკომენდაციაა რეგულაციაში აისახოს: ვინ არის მტკიცებულებების მოგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და როგორია მტკიცებულებების მიმართ წაყენებული მოთხოვნები.

PDF Eraser Free

4. დაწესებულების წარმომადგენლი განმარტებით, პროფესიულ სტუდენტებს ეცნობებიათ შეფასების შედეგები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი მექანიზმი რომელიმე დოკუმენტში არ იძებნება.

აღნიშნული ინდიკატორების ფარგლებში, კოლეჯის მიერ გეგმიურად გადასახედ დოკუმენტებში დასაკორექტირებელ საკითხებთან დაკავშირებით, ექსპერტები არ ეთანხმებიან სტანდარდთან მიმართებაში დაწესებულების მიერ განაცხადში დაფიქსირებულ პოზიციას - „შესაბამება“ და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის 2021 წლის სამუშაო გეგმისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, აფასებენ როგორც „მეტწილად შეესაბამება“. ამასთან ექსპერტები გასცემენ რეკომენდაციას დადგენილ ვადაში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებებისას დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემდეგი: გაწეროს შეფასების შედეგების სტუდენტებისათვის გაცნობის (ამასთან განისაზღვროს ინფორმირების ვადები და ფორმა შედეგების წინმსწრებ მოდულებზე შედეგების გასაჩრების შემთხვევებისა და გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადების გათვალისწინებით) და უკუკავშირის მიცემის რეგულაცია და უზრუნველყოს შეფასების შედეგების გაანალიზება პროგრამის ან/და სწავლების/შეფასების პროცესის გაუმჯობესების მიზნებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- „სწავლების ხარისხის შეფასების წესი და მექანიზმები“;
- „ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“;
- ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების ფორმები;
- დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

შეფასება:

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	0
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	-

აღნიშნული შეფასება გამოწვეულია განმახორციელებელი ადამიანური რესურსის პროფესიული მოდულების განმახორციელებლების დარგობრივი კომპეტენციის ნაკლებობით.

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. გასაუბრების განრიგი

09.09.21

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: